საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7515
07/12/2022

7515-21-2-202212070929

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას"
მის: ქ.თბილისი, ბარათაშვილის №2
ელ.ფოსტა: Zezva.khvedelidze@gse.com.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №6019 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება 220 კვ. ,,პალიასტომი 1''-ს შეჭრის 220/110/35 კვ. ქ/ს ,,ოზურგეთში'' და 110 კვ. ორჯაჭვა „ოზურგეთი-ზოტიჰესის" ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანისა და ქვესადგური ,,ოზურგეთის'' განთავსების პროექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საყრდენი ანძების განლაგების ადგილები და ანძებს შორის მანძილები ამ ეტაპზე სავარაუდოა და მათი დაზუსტება მოხდება მხოლოდ დეტალური პროექტირების ეტაპზე. სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი უნდა იქნას დაგეგმილი ცვლილებების პროექტის საბოლოო ვერსია;
- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ელექტროგადამცემი ხაზის გარკვეული მონაკვეთ(ებ)ის განთავსება დაგეგმილია კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე, თუმცა განცხადებაში წარმოდგენილი არ არის აღნიშნული მიწის ნაკვეთ(ებ)ის საკადასტრო კოდ(ებ)ი, ამასთან განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მიწის ნაკვეთ(ებ)ის მესაკუთრე(ებ)თან შეთანხმების თაობაზე;
- წარმოდგენილი ინფორმაციით (ნახაზი 2.7), საპროექტო 110კვ („ოზურგეთი-ზოტიჰესი") ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონის სიახლოვეს, 6 მეტრის მანძილზე მდებარეობს უახლოესი საცხოვრებელი სახლი. შესაბამისად სკრინინგის განცხადება უნდა მოიცვდეს ინფორმაციას აღნიშნული უძრავის ქონების მესაკუთრის თანხმობის, აგრეთვე „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილებით განსაზღვრულ პირობებთან თავსებადობის შესახებ;
- მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორია (ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით) წარმოადგენს სახელმწიფო ტყის ტერიტორიას, შესაბამისად, სკრინინგის

განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია ტყის სტატუსის შეწყვეტის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის შესახებ;

- დოკუმენტში წარმოდგენილ უნდა იქნას ინფორმაცია, პროექტის პირობების ცვლილების შედეგად, დაგეგმილი მოსაჭრელი ხე-მცენარეების ზუსტ მონაცემებზე, სახეობების მიხედვით რაოდენობის და მოცულობის მითითებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო